სამშაბათი 20 მარტი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 61

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით ძალიან დიდი წერილები და მოთხრობები. ფურცლებით-პასუხისთვის საჭირო სათანადო მარკები. ბრაკად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

კოლლეჯსკი ასესორი ვლადიმერ გიორგის ძე მახარაძე და ქვრივი **ეკატერინე დავიდოვნა ყუზანოვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა მარტის ოც-და-ერთსა, დილის 10 საათზედ, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის—ძვირფას შვილის, ხოლო მეორის—შვილის-შვილის, ხარკოვის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტის

შაქრო | ზაქარია | ვლადიმირ. ძის მახარაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (—1—594—1)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების

საბჭო

იწვევს წევრების საზოგადო წლიურ კრებას 20 მარტისათვის ჭიათურის თეატრში; განსახილველი საგნები:

1) 1906 წლის წლიურის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
2) 1907 წლის ხარჯთ-აღრიცხვა,
3) მოხსენებები: საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა,
4) არჩევნები: გამგეობის ერთის წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა. (3—ნ. ჭთ.—3)

ნამდვილი კახური ღვინე

Товарищество Кахетинскихъ виноградарей „Дзиоба“ „Ламаджвари“ въ Тифлисѣ

Телефонъ № 1036. Головинскій проспектъ и Дворцовая

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—37)

მქიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინანაზ სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—9)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—70)

მქიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვამ ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუსულაძისა, № 26. (25—ნ.—7)

მქიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანიზა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—62)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

შიდება გარეგან მოსარულელ ავადმყოფებისა.
მიხეილ აგაფანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
გ. ა. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
ი. გ. პეტროვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
ზ. ბ. კიმონტი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
ბ. ბ. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.
ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—41)

ლაბორატ.-ბაქტერიოლოგიური რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონეგოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 389. (100—51—98)

ქუთაისში

შემთხვევით **იყიდება** ფრანგულ სახელოსნოში გაკეთებული მაუდის **კოსტიუმი იაფად**. იკითხეთ ლენერლის ფორაქოვის სახლში, პოლიას. (6—კვ.—3)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა“

აწვდის სოფლის მეურნეთგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა, ბაღისნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—ნ.—7)

„ხოჯივანქის აგარაკი“ მირზოეკისა უკვე ნაყიდია საამხანაგო კომისიისაგან, რომელიც სთხოვს ყველა ამხანაგთ მონაწილეთ, კვირამდე—25 მარტამდე—გამოცხადდნენ კომისიაში და მიიღონ თავთავიანთი ნაწილი. ვინც ამ დღემდე არ გამოცხადდება, დაჰკარგავს თავის წილსა და პაის 1 მ 20 კ. (1—1)

ქუთაისში
გაიხსნა საწყობი ნამდვილი

ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ქილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—3)

შავი-ქვის ამხანაგობის

სალიკვიდაციო კომისსია ამით აცხადებს, რომ **ჰყიდის ამხანაგობის** შენობას ჭიათურაში. შენობა შესდგება ორ სართულიან სახლისაგან. ქვედა ქვითკირისა და ზემოთი ხისა. ზემო სართული სახლისა მშვენიერად მოწყობილია კანტორისათვის. ვაჭრობა დაიწყება რვაას თუმნიდან—8000 მან. ვაჭრობა მოხდება ამხანაგობის კანტორაში მარტის 22 დღესა ხუთშაბათს, დილის 10 საათზედ. (4—ნ.—2)

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1906 წლის საზოგადო კრებამ **საწევრო გადასახადი** დააწესა

სამი მანეთი.

ამასთან ამავე კრებამ დაადგინა, დაემატოს „საზოგადოების“ წესდებას ახალი მუხლი: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადიხდის მაზე დარჩენილს საწევრო ფულს“.

ამ მუხლის ძალით, ვინც ამ 1907 წლის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო ფულს, ის 1908 წლის პირველ იანვრიდან გამორიცხული იქნება წევრობიდან.

გამგეობა აუწყებს ამასვე „საზოგადოების“ აგენტებს და სთხოვს მათ, მოაგონონ წევრებს საზოგადო კრების დადგენილება და თავის დროზე შემოატანინონ **საწევრო** გადასახადი.

გამგეობას იმედი აქვს, რომ, რა-კი საწევრო გადასახადი შემცირდა, არავის გაუძნელდება მისი შემოტანა და ყოველი წევრი ეცდება მოაწოდოს თავისი წვლილი „საზოგადოებას“, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დღეს მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. (6—უ—6)

ტფილისი, 20 მარტი

მას შემდეგ, რაც სათათბირო გაიხსნა, სრული ერთი თვეა. 20 თებერვალს მთელი პროგრესსიული რუსეთი დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი იმ შავი ღრუბლებისა გამო, რომელნიც სათათბიროს გარშემო მოიკრიფნენ. არავინ არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული, რომ რუსეთის მთავრობა ორიოდე დღის განმავლობაში ხელახლა არ დაირეკდა ხალხის წარმომადგენლებს. სათათბირომ თავიდანვე დიდი სიფრთხილე და თავის შეკავება გამოიჩინა. თუმცა ოპოზიციონური განწყობილება ახალის პალატისა ეტყვს გარეშე იყო, მაგრამ იმის უმრავლესობას თავიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი გრძნობები კი არ აღეარებინა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად, პირიქით თვით ეს გრძნობები დაემორჩილებინა გონიერის პოლიტიკისა და ნაყოფიერ საპარლამენტო მოღვაწეობისათვის.

ამ დინჯი პოლიტიკის ნაყოფი დღეს, ერთის თვის მოქმედების შემდეგ, უკვე ყველასათვის ცხადია. სათათბიროს ირგვლივ მოკრეფილი შავი ღრუბლები გაიფანტნენ და ის ეხლა საკმაოდ გამაგრებულია თავის პარლამენტარულს ნიადაგზე. ამ თვის განმავლობაში შინაურ საქმის გარდა სათათბირომ მოისმინა მთავრობის დეკლარაცია, დაარსა განსაკუთრებითი კომისიები დამშეულთა და უმუშევართა შესახებ საქმეების გამოსარკვევად და ამ საქმეების ფართო ნიადაგზე დასაყენებლად, განიხილა კანონ-პროექტი სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმებისა და გადავიდა რუსეთის რევოლიუციის მთავარ ძარღვზე, აგრარულ საკითხზე.

მართალია, ჯერ-ჯერობით სათათბიროს მოქმედებას არავითარი ცვლილება არ შეუტანია ჩვენს ცხოვრებაში, მართალია სამხედრო-საველე იუსტიცია, ადმინისტრაციის თვითნებობა, თავისუფლებათა უზომო შევიწროვება, თვითმოქმედების საწინააღმდეგო პოლიტიკა და მრავალი სხვა გამოხატულება რეაქციის გაჯიუტებისა ისევ კვლავინდებურად გვიხუთავს სულს, მაგრამ ეხლა ჩვენს შავბნელ ცხოვრებას ცოტა რამ სანუგეშო მომავალი მაინც შეუძლიან წარმოიდგინოს.

იმ მოქმედების გარდა, რომელიც სათათბირ-ს სხდომებზე სწარმოებს, ხალხის წარმომადგენლები დიდს საქმეს აკეთებენ თავ-თავის პარტიულს წრეებში. აქ მრავალი კანონ-პროექტი იწერება, ჯერ აქ ატარებენ კრიტიკის ქარცეცხლში რუსეთის ეხლანდელს წესწყობილებას, ჯერ ეს პარტიული ჯგუფები ებაასებიან ერთმანეთს სხვა და სხვა კანონ-პროექტების ნიადაგზე შესათანხმებლად. თანდათან უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს გლეხთა კავშირი, სოც.-რევოლ. ფრაქცია და მშრომელთა ჯგუფი. ამ დაახლოებულ ჯგუფების მთავარი მიზანი—აგრარული საკითხია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საკითხის შესახებ ისინი ბლოკის შეკვრას მოახერხებენ.

თუ ერთის მხრივ ბუნებრივად მონათესავე ჯგუფები უახლოვდებიან ერთმანეთს, მეორე მხრივ აშკარად ირკვევა, რომ ზოგი ჯგუფის შემადგენელ ელემენტები ხელოვნურად ყოფილან შეერთებულნი. ამ მხრივ განსაკუთრებითს ინტერესს წარმოადგენს სათათბიროს მარჯვენა ფრთა; ამ ფრთას თან და თან ზურგს უქცევენ ის გლეხებიც კი, რომელნიც პირველად მემარჯვენეებად იყვნენ მონათლული. ირკვევა აგრეთვე, რომ ოქტომბრისტებს კადეტებთან უფრო მეტი ნათესაობა აქვთ, ვიდრე „წმინდა რუსთა კავშირთან“.

ხალხის წარმომადგენლები პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესების მიხედვით სხვა და სხვა საპარლამენტო კომბინაციებში შედიან. პირველი ნაყოფი ამ კომბინაციებისა ისაა, რომ მემარჯვენენი ცალკე ირიყებიან და ისე რიცხვ-ნაკლებნი არიან, რომ ვერავითარს კვალს ვერ დაჩნევენ სათათბიროს მოქმედებას. ბრძოლა მემარცხენეების და ცენტრის შუა გაიმართება. პირველი და ღრმა პრინციპიალური შეტაკება ცენტრს და მემარცხენეებს აგრარულ საკითხზე მოუხდებათ. ამ საგნის განხილვა სათათბიროს გუშინ უნდა დაეწყო.

გლეხების მოძრაობა რუმინიაში

პეტერბურგის სააგენტო დეპეშები სასენსაციო ამბებს იტყობინებიან რუმინიიდან: ხალხი ამოძრავდა, ებრაელებს მიესია, ჟლეტს და აწიოკებსო. სააგენტოს ეს ცნობები შესაფერისად გამოიყენეს რუსის პატრიოტებმა: ებრაელები მარტო ჩვენ არ გვძულს, ყველგან სდევნიან მათ, ევროპაშიაც კი; აი, რუმინიაში რა ამბები ხდებაო, გაიძახიან გახარებული ხულიგანები. სათათბიროშიაც კი გამოაცხადეს ეს „სასიხარულო“ ამბავი კაციჭამიების წარმომადგენლებმა.

რუმინიაში მართლა დიდი მოძრაობა იყო, რომელიც ჯერაც არ დამცხრალა სავსებით; ისიც მართალია, რომ დიდძალი ებრაელები დააწიოკეს; ბევრი იძულებული იყო მიეტოვებინა რუმინია და ავსტრიას შეხიზნებოდა. მაგრამ ეს „აწიოკება“ კიშინიოვისა, ოდესისა და ბელოსტოკის აწიოკებას სრულიად არა ჰგავს; მთავრობის აგენტები არ პროვოკატორობდნენ, მთვრალი ჯარის კაცები არ მიუსევიათ უდანაშაულო ხალხისათვის. რუმინიაში ატეხილი მოძრაობა ის აგრარული მოძრაობაა, რომელმაც ასეთის ძლიერებით იჩინა თავი რუსეთშიაც და სწორედ იმ ადგილებში, სადაც ერთი ებრაელიც არ არის.

რუმინელი გლეხი უმიწა-წყლო ან მცირე მიწა-წყლიანია; თავად-აზნაურობის ხელშია მთელი რუმინიის ადგილ-მამულის ნახევარი. ფლეხები იჯარით იღებენ მემამულის მიწას, მაგრამ პირდაპირ მემამულისაგან კი არა, არამედ მსხვილ არენდატორისაგან, რომელიც მეტ წილად ებრაელია. მით უფრო მეტი ტყავი ძვრება საბრალო გლეხს, მით უფრო აუტანელია მისი მდგომარეობა და აკი იბრძვის თავის დასახსნელად.

წვრილ მოძრაობებს რომ თავი დავანებოთ, მეცხრამეტე საუკუნეში ოთხი დიდი მოძრაობა იყო გლეხებისა. რუმინიაში აჯანყებული გლეხობა რისხვასავით მოევლინება ხოლმე მემამულისა და არენდატორების სახლკარს და რუმინიის მთავრობაც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, რომ ჯარი მიუსიოს აჯანყებულებს. დამარცხებული გლეხობა მიყუჩდება, სანამ ისევ არ დაჰკარგავს მოთმინებას და არ ადგება. რუმინიის ხულიგანები სარგებლობენ გლეხების აღშფოთებით და გულუბრყვილოებს ხშირად შემდგარ გზაზე აყენებენ: ებრაელები არიან, რომ სისხლსა გწოვენ, ჰკა მაგათო და ამ გვარად ხალხის რისხვას ნამდვილ დამნაშავეთ თავიდან აიცილებენ. ამიტომ არის, რომ რუმინიაში აგრარულ მოძრაობას ებრაელების აწიოკების ელფერი ეძლევა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობაა, რუმინელ ხულიგანებისაგან ხელოვნურად გამოწვეული. არსებითად კი იგი წმინდა აგრარული მოძრაობაა გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობით გამოწვეული, მემამულეთა წინააღმდეგ მიმართული. როგორც ეხლა ირკვევა, გლეხები ჯერ ებრაელ არენდატორებს მიესივნენ, მაგრამ მეორე მესამე დღესვე გარჩევა აღარა ყოფილა: გლეხები ერთნაირად აწიოკებდნენ თურმე როგორც ებრაელ, ისე სხვა ტომის არენდატორ-მემამულეებს.

მველი რეჟიმი საფრანგეთში

ამ სათაურით კვირას ალექსანდრე მდივანმა, სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების დავალებით. სახალხო სახლში წაიკითხა ქართულად ლექცია *).

ერთი დიდი ისტორიული ფაქტი დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა მე-18-ს. ევით-მპყრობელობის განვითარებაა და მასთან ერთად ადმინისტრატიულ ცენტრალიზაციის და ბიუროკრატიულ წესწყობილების დამყარება. საზოგადო ძალები განდევნილ იქმნენ თავისუფალ მოღვაწეობის და მოქმედების ასპარეზიდან. საზოგადოებაზე, სახელმწიფოსა და პიროვნებაზე მზრუნველობა მეფემ და მისმა მოხელეებმა იკისრეს. მეფე ამ ქვეყნად თავის თავს ღმერთად სთვლიდა. ამგვარი შეხედულება იყო წყარო ხალხის ტანჯვისა და გაჭირვებისა.

მართლაც,—სთქვა ლექტორმა,—სადაც მეფის სურვილი და ნება კანონი იყო, იქ ნამდვილად არასოდეს არა ყოფილა კანონი, როგორც სიმართლის და ჭეშმარიტების დამცველი. გაარკვია რა კანონი, როგორც მოვალეობა, რომელსაც ყველა მოქალაქე ერთგვარად უნდა ასრულებდეს, ლექტორმა გაუთვალისწინა საზოგადოებას, რომ მე-18 საუკუნეში გაჩნდა მთელი კლასი, რომელიც მოვალეობის გარეშე იდგა. ამ კლასის სათავეში თვით მეფე იდგა და იგი საფრანგეთში ყოველ ბოროტების წყაროდ გადაიქცა. ხალხი წარმოუდგენელ გასაჭირში ჩავარდა. გლეხ-კაცობა მცენარეების ფესვებით იკვებებოდა, ძალიან ხშირად ნედლს ან და მოხარშულს ბალახს სჭამდა... თვალ გადუწვდენელი ადგილები დაუმუშავებელი რჩებოდა. ამავე დროს მეფე და იმისი ავან-ჩავანნი ჰფლანგავდნენ ხალხის სიმდიდრეს.

ამ ფლანგვას ვერ გაუძლო საფრანგეთმა: რაც უნდა მდიდარი იყოს ქვეყანა, მას არ შეუძლიან გაუძლოს მმართველის ხარჯს, თუ კი მმართველი მხოლოდ ფლანგავს ხალხის სიმდიდრეს. საფრანგეთის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ თვით-მპყრობელი მონარქიები ყოველთვის ღარიბები არიან და ყოველთვის მატერიალურ საშუალება სჭირდე-

*) ამავე დღეს რუსულად ლექცია წაიკითხა დერჟავინმა. ორივეს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. რუსულ ლექციის შინაარს ხვალ გავაცნობთ მკითხველებს. რედ.

ბოდათო, დასძინა ლექტორმა. ამის დასამტკიცებლად ძველი წეს-წყობილების გადასახადების ხასიათი და რაოდენობა გამოარკვია ლექტორმა და მით ძველი წეს-წყობილების მექანიზმის და ამ წეს-წყობილების უსამართლობა დაამტკიცა.

შემდეგ გამოარკვია გლეხ-კაცობის აუტანელი მდგომარეობა; აღნიშნა, რომ ღალა, რომელსაც გლეხობა იხდიდა არა მარტო ბატონისათვის, არამედ მეფისათვისაც, დღითი-დღე უფრო სამძიმო ხდებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ გლეხობა სრულიად გაღარიბდა და გაღატაკდა ბევრგან საფრანგეთში. ბევრგან ყოველ 1500 მცხოვრებზე 500 მათხოვრობით ირჩენდა თავს. ყაჩაღების და მაწანწალების რაოდენობა დღითი-დღე მატულობდა.

დაასურათა რა გლეხ-კაცობის ტანჯვა-ვება, ლექტორმა მოიყვანა თანამედროვეთა მოწმობა საფრანგეთის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. აი, მაგალითად, ერთი მწერალი რას ამბობს: „მინდვრად შეგხვდებათ რაღაც ცხოველები,—მამლები და დედლები—არაქათ გამოლეულნი, მზისაგან დამწვარნი, რომელნიც გასაოცარის სიკერპით სჩიჩქნიან მიწას და ლუღლუღებენ. როდესაც თავს მაღლა ასწევენ, მაშინ იცნობთ ადამიანს... საფრანგეთის მინდვრებსა და გზებში მრავალ მკვდარ ქალს და ბავშვს ჰხედავთ, რომელთაც პირში ბალახი უდევთ...“ საოცარი სურათი სასოწარკვეთილებისა და გაჭირვებისა.

შემდეგ ლექტორმა გაითვალისწინა ქალაქის მუშათა და ხელოსანთა ცხოვრების პირობები, გაარკვია კორპორაციათა ისტორია. თვითეული ხელობა ცალკე ამქარს წარმოადგენდა. მათი დანიშნულება იყო მონოპოლიის შექმნა. ამასთან ერთად ისიც იყო აღნიშნული, თუ როგორ უნდა შეეძინა კაცს ამა თუ იმ ხელოსნობის სახელი. კორპორაციებში არავითარი ეკონომიური თავისუფლება არა ყოფილა. მე-18 საუკუნეში მეფის უფლების გაძლიერებამ დაასრულა კორპორაციების დამონავების საქმე და მეფის „მზრუნველობამ“ შეაყენა ყოველი წინსვლა საფრანგეთში.

ბოლოს, ლექტორმა დახატა საზოგადო სურათი საფრანგეთის მდგომარეობისა მე-18 საუკუნეში.

ჯოჯოხეთმა და ტანჯვამ მოიცვა მთელი საფრანგეთი,—სთქვა ლექტორმა:—მეფენი როდი ჰგრძნობდნენ სინდისის მხილებას და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, თუ რა ვარამში იყო ქვეყანა... მაგრამ ბოლოს ხალხის გულიდან ამოსკდა ყვირილი: „პური! არ არის საჭირო ბეგარა! ძირს საბაჟოები! ცეცხლში გარდასახადების ნუსხები! თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა!“ და მოზღვავდა ტალღა ხალხის შურის-ძიებისა...

ფელეტონი

საფრანგეთის ცხოვრება და ლიტერატურა.

წერილები პარიზიდან.

II

(დასასრული*)

ამ თანამედროვე იმედ-დაკარგულ და საერთო ცხოვრებასავით ჩამოქვეითებულ მწერლების განხილვის დროს უნებურად თვალ-წინ გიდგება მიმზიდველი სახე იმ ბრწყინვალე მოაზრისა, რომელიც იყო წინამორბედი საფრანგეთის დიდ რევოლიუციისა. ის არ ურიგდებოდა ეხლანდელ თანამოძმეებივით გაქვავებულ ცხოვრებისა და საზოგადოების კანონებს, მისი ერთი კალმის მოსმა შიშის ზარსა სცემდა ძლიერთა ამა სოფლისათა და თუმცა თავისი ფიზიკური ძალ-ღონე შეალია ამ უსწორო ბრძოლას, მაგრამ მისი სული გამარჯვებული მუდამ სცოხცლობდა რევოლიუციებში და კიდეც იცოცხლებს სამარადისოდ. ვინ არის იგი?

კვირას, 10 მარტს პარიზის უნივერსიტეტ სორბონაში ნამდვილი დღესასწაული იყო. ამ უშველებელ შენობის მისავალ-მოსავალი ხალხით გაიჭედა, რომელიც იკრიბებოდა უმთავრეს ამფიტეატრში, სადაც დანიშნული იყო მანიფესტაცია ჟან-ჟაკ რუსოს პატივსაცემლად. ამ მანიფესტაციის მოწყობა მინდობილი ჰქონდა საგანგებოდ არჩეულ კომიტეტის ბიუროს, რომლის წევრები არიან, სხვათა შორის, მეცნიერი აკადემიკოსი ბერტელო **), უნივერსიტეტის რექტორი ლიავი, პოეტი სიული პრუდომი. კრების თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო საერო განათლების მინისტრი არისტიდ ბრიანი, მაგრამ იმის ავადმყოფობისა გამო თავმჯდომარეობდა სახელმწიფო სეკრეტარი დიუჟარდენ-ბომეცი. დამსწრეთა შორის იყვნენ მინისტრები, სენატორები და სხვანი. პირველად სიტყვა წარმოსთქვა „Censeur Politique et Litteraire“-ის რედაქტორმა ერნესტ-შარლმა, რომელმაც აღნიშნა ჟან-ჟაკ რუსოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობის მნიშვნელობა, მისი ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრება, ის აუარებელი ჭორები და ცილის-წამება, რომელიც სდევნიდა მას სიკვდილამდის და სიკვდილის შემდეგაც და დღესაც არ შორდება მის ხსოვნას. მაგრამ ვინ გამოიკვლია დაწვრილებით მისი თავგადასავალი? ეგ მხოლოდ თითონ რუსომ გადაუშალა კაცობრიობას თავისი გული წრფელად, დაუფარავად თავის აღსარებაში“, სადაც სხვათა შორის ამბობს:

„ოდეს დაჰკრავს წამი უკანასკნელის განკითხვისა, მე წარვსდგები უზენაესის მსაჯულის წინაშე და ვიტყვი ხმა-მაღლა: „აი ეს არის, რაც მე ვქენი, რასაც ვფიქრობდი, რაც ვიყავი. მე ვსთქვი კარგიცა და ავიცა თანაბარის გულ-ახდილობით. ცუდი არაფერი დამიმალავს, კარგი არაფერი მიმიმატებია“...

ამ წამმა კიდეც დაჰკრა და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილმა ღირსეულად დააფასა თავისი კეთილშობილი წინამძღვარი.

მეორე ორატორი ინსტიტუტის წევრი მეცნიერი პენლევე შეეხო რუსოს ფილოსოფიურ მხედველობას, რომელიც გატარებულია განსაკუთრებით მის უმთავრეს თხუზულებაში: „საზოგადოებრივი ხელშეკრულობა“. ის მონობა და ერთის ადამიანის ბატონობა მეორეზედ, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა რუსომ „ბუნებრივის უფლების“ სახელით, დღეს საზოგადო ფრაზადაა გამხდარი და ბევრს დრო-მოჭმულად ეჩვენება ამდენ სოციალისტურ და ანარქისტულ პუბლიცისტთა ნაწერების შემდეგ, მაგრამ ვინც კარგად გაიგებს ამ „საზოგადოებრივ ხელშეკრულობის“ დედა-აზრს, ის მიხვდება, რომ აქ ლაპარაკი მარტო პოლიტიკურს თანასწორობაზედ-კი არ არის, არამედ სრულს „ბუნებრივს თანასწორობაზეა“. და თვით პოლიტიკურ-სოციალისტურმა პარტიებმა, ჟირონდელებისა და მონტანიარებიდან დაწყებული, ამ თხუზულებიდან ისესხეს უმთავრესი აზრები თავიანთ ნაირ-ნაირ პროგრამების შესადგენად. ეს თხუზულება იყო, რომ დიდის ამბით დასწვეს კოცონში რუსოს სამშვიდობო ქალაქ ჟენევაში, ხოლო ჟენევიდან და პარიზიდან განდევნილი ავტორი აქა-იქ იმალებოდა, ვიდრე მისმა მეგობარმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა დავით იუმმა არ წაიყვანა.

შემდეგ წამოდგა პოეტი ჟან რიშპენი და „საფრანგეთის პუბლიცისტთა კავშირის“ სახელით ცეცხლის მფრქვეველი სიტყვა წარმოსთქვა, რამაც აჟრჟოლებულ საზოგადოებაში დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია. სხვა და სხვა ქალაქიდან მოსულ წარმომადგენელთა შორის ყურადღება მიიქცია ფ. კოდემ, რომელიც გამოგზავნილი იყო ჟენევის „ჟან-ჟაკ რუსოს საზოგადოებისაგან.“ „ჩვენს ქალაქს თავი მოსწონს, რომ რუსო „ჟენეველი მოქალაქე“ იყოო,—სთქვა მან,—თუმცა სიცოცხლეში მისი მიკარება ეთაკილებოდა, და ახლაც ამ დარბაზში ჩემს ადგილას რომ რუსო იდგეს, უეჭველად ძირს გადმოაგდებდნენ. და კრინტს არ ამოაღებინებდნენო“. კოდემ განმარტა განსაკუთრებით სწავლა-აღზრდის თეორია რუსოსი, რომელიც აგრე ზედ-მიწევნით დასურათებულია მის რომანში: „ემილი, ანუ სწავლა-აღზრდა“, და რომელიც დაედო ქვა-კუთხედად გასტიის პესტალოცის, ჟირარის და სხვილ გამოჩენილ პედაგოგების მოღვაწეობას. მსოფლიო ლიტერატურაზედ რუსოს გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდებული ინგლისელი პოეტი ბაირონი თავის ჯადოსნურს ჩანგს ხშირად ამ „ძველის ქვეყნის დამარღვეველზედ“ აჟღერებდა. და თვით თანამედროვე სახელ-განთქმულ მწერალ-მოაზრის ლევ ტოლსტოის ცხოვრება და ნაწარმოები, განსაკუთრებით მისი უმთავრესი რომანი „ანნა კარენინა“, გაჟღენთილია რუსოს აზრებით. უმთავრესად რუსოს გამოა, რომ ფრანგული ენა და ლიტერატურა მსოფლიო და ინტერნაციონალური გახდა.

ახალგაზდობის სახელით ილაპარაკა სტუდენტმა კამპენჩიმ, რომელიც თავმჯდომარეა „პარიზის სტუდენტთა კავშირისა“. მან აღნიშნა ის უცნაურობა, რომ ამ თავისუფალ აზროვნების მანიფესტაციას რაღაც ოფიციალური ხასიათი მისცეს და მასში მინისტრ-სენატორებიც იღებენ მონაწილეობას, მაშინ როდესაც რუსო მასულდგმულებელია ახალგაზდობისა, ახალ, თავისუფალ კვლევა-ძიებისა და ამისათვისაც რჩება იგი სტუდენტების საყვარელ მწერლად და ძვირფას მასწავლებლადაო.

ამ დღესასწაულისათვის შეუდგენიათ ლექსები, პოემები და სიმღერები. „საფრანგეთის კომედიის“ ცნობილმა არტისტ-ტრაგიკოსმა სილვენმა მშვენივრად წაიკითხა სენ-ჟორჟ დე-ბუელიეს პოემა „ფიქრები ჟან-ჟაკ რუსოს შესახებ“, დაც დაჩაგრულ ოსებს. ადმინისტრაციისადმი მიმართული თხოვნა „ამშეულთა“ დახმარებისათვის უპასუხოდ დარჩა, რასაკვირველია.

სპარსეთიდან. სპარსეთიდან „ტეგერანში ცუდი ხმები მოდის. ამბობენ, შესაძლებელია მეჯლისი გაიკონოს. დღე-დღეზე სასტიკ რევოლიციებს ელიან. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცული მოხელე-მოსამსახურენი უკვე შეუდგნენ მუშაობას.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო საოლქო სამართალში მისცეს ახალქალაქის მაზრის ტყის მცველები (აბეზჩიკები) ალი-ოღლი და რუშტი მოლლა ეიდარ-ოღლი. ამათ ჰბრალდებათ კაცის მოკვლა. თელავის მაზრის სოფელ შაშიანის მცხოვრებნი დააჯარიმეს ორ-ორი მინეთით თითო კომლი. სოფელს აბრალებენ ბოროტმომქმედთა დაფარვას. ორის წლით ვიატკის გუბერნიაში იგზავნება ავ. პრეიგშა, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ტფ. გუბერნიიდან ეტაფით იგზავნებიან ვასილ დარბაისელი, ე. აკსენოვი, ს. ხრიტონოვი და იასონ ტყეშელაშვილი. დააჯარიმეს 20 მანეთით ტფილისელი სახლის პატრონი პ. მაზაევი.

✦ **განაჩენი.** როგორც ვწერდით, 17 მარტს ტფ. პალატამ გაარჩია საქმე ალ. კვერკველაძისა და სხვათა, რომელთაც ექიმი ქანანოვი უჩიოდა, ცილი დამწამესო. პალატამ განაჩენი საღამოთი გამოაცხადა. მან დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ **ფულის გატაცება.** 18 მარტს საღამოთი მეჟვიოის ქუჩაზე მცხოვრებ ხოიციანთან შესულა 6 ახალგაზდა, რევოლვერებითა და ხანჯლებით თავს დასდგომიან სახლის პატრონს და უთქვამთ, დღეს რომ 1000 მანეთი მიიღეთ, მოგვეცითო. შეშინებულ ხოციანს გადუცია 1000 მან. უცნობები მიიმალნენ.

✦ **გაზეთის გამოცემა.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა ნება დართო თავ. კონ. ხერხეულიძეს, განაახლოს რუსულ დაკეტილ გაზეთის „ტიფლის“-ის გამოცემა.

✦ **მირაბის და სხვათა არჩევანი.** 25 მარტისთვის ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ტფ. წყალთა მეორე ოლქის წარმომადგენელთა კრება. კრებამ უნდა აარჩიოს საბჭოს ოთხი წევრი, ერთი საოლქო მირაბი და მისი კანდიდატები.

✦ **უფროს ხელოსნის დაჭრა.** 18 მარტს, საღამოს 7 საათზედ, ნაბერეჟნის ქუჩაზე, ვიღაცამ რევოლვერით მძიმედ დასჭრა ვეტცელის ლუდხანის უფროსი ხელოსანი კაოლ ფრანჩეკი.

✦ **ანტონ ფურცელაძის ახალი წიგნი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ანტონ

---

*) იხ. „ისარი“ № 59

**) როგორც დეპეშებმა გვაუწყეს, ამ რამდენისამე დღის წინად ბერტელო უკვე გარდაიცვალა. რედაქცია.

სათათბირო და საბჭო

(საგენტოს დეპეშები)

პეტერბურგი. ასტრახანის და სტავროპოლის გუბერნიების და ასტრახნის ყირგიზთა დეპუტატების არჩევნები უმაღლესის ბრძანებით 5 მაისისთვისაა დანიშნული.

სათათბიროს უპარტო დეპუტატებმა, რიცხვით 35 კაცმა, აირჩიეს ფრაქციული ბიურო მიხეილ სტახოვიჩისა, შიდლოვსკისა და მალეევისაგან. ბიუროს აზრდა აქვს შეძლებისა და გვარად სათათბირო საკანონმდებლო შრომისაკენ წასწიონ. კენჭის ყრის დროს ფრაქციის წევრები მოვალენი არიან ბიუროს განუცხადონ, თუ რომელ პარტიას აძლევენ თავიანთ ხმას.

დამშეულთა გამოკვების საქმის გამო შემდგარმა კომისიამ თავმჯდომარედ დოლგენკოვი აირჩია, მდივნად—ურაზოვი. კომისიამ დაადგინა, ჯერ-ჯერობით თავი გაანებოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ გამოკვების განყოფილების ძველ მოქმედების განხილვას და ამ დროებით შეუდგეს დამშეულ გუბერნიების მდგომარეობის გამოკვლევას. ამ აზრით კომისია მიმართავს დახმარებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ გამოსაკვებ საერობო ორგანიზაციას და ერობებს.

ოპოზიციონურ ფრაქციათა წარმომადგენლების კრებამ დაადგინა: რაც შეიძლება განსაზღვრონ კამათი აგრარულ საკითხზე, რათა აგრარულ კანონ-პროექტის ძირითადი საფუძვლები დროით გადაეცეს შესამუშავებლად აგრარულ კომისიას. ამავე კრებამ დაადგინა: იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოს რეფორმისა და წინასწარ გამოძიების დროს დამცველის ყოლის შესახებ უკამათოდ გადაეცეს განსაკუთრებით ამისათვის შემდგარ კომისიას.

სახელმწიფო საბჭოს კომისიამ კანონიერად იცნო ვასილიევის, ვერნადსკის, რგომმის, კოვალევსკის, მანუილოვის და თავ. ტრუბეცკოის არჩევნები.

(გაზეთებიდან)

უპარტიო კრება. 11 მარტს მოხდა პირველი კრება უპარტიო დეპუტატებისა. სულ დაესწრო 60-მდე კაცი. ისინი დღეს დაქსასულნი არიან, არც ერთ პარტიას არ ემხრობიან და კომისიების მუშაობაში მონაწილეობას არ იღებენ. კრებამ განიხილა ეს საკითხი და გადასწყვიტა, შეადგინოს უპარტიოთა ცალკე ჯგუფი, რომელიც თავის კრებებზე განიხილავს სათათბიროში აღძრულ ყველა საკითხს, გაგზავნის კომისიებში თავის წარმომადგენლებს, ხოლო თავისუფალი იქნება ყოველნაირ პარტიულ დისციპლინისაგან ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტის დროს.

საამდროო დასჯა. ვიატკის დეპუტატმა სათათბიროს წევრმა ალაშევმა შემდეგი დეპეშა მიიღო ქ. ელაბუგიდან: მივიღე წინადადება გადავდგე სამსახურიდან. მიზეზი: პირველ სათათბიროს წევრთან კულიჩენკოსთან ჩემი ნაცნობობა. საერობო გამგეობის წევრი გოლონიშჩევი.

სახალხო ფრაქციები. 11 მარტს მოხდა საზოგადო შეერთებული კრება სახალხო სოციალისტების, სოც.-რევოლიუციონერების, მშრომელთა ჯგუფის და ხალხთა კავშირის. განხილულ იქნა საკითხი ამ ფრაქციების უფრო მჭიდრო ურთიერთობის შესახებ. მათ შორის მცირე განსხვავებაა, ამავე დროს თვითეული მათგანი ცალკე ადგენს კანონ-პროექტებს, რომელთა შორის აგრეთვე მცირე განსხვავებაა. კრებაზე არ გამორკვეულა საბოლოოდ ამ ფრაქციების გაერთიანების ფორმა და მიღებულ იქნა წინადადება, რომლითაც გაერთიანების ფორმის გამორკვევა უნდა მიენდოს ფრაქციების წარმომადგენლებს, რომლებიც ოპოზიციის პარტიის ცნობების შემკრებ ბიუროში შედიან.

მემარჯვენენი. მემარჯვენეთ საერთო კრებაზე თათბირი ჰქონდათ თავისი მომავალი მოქმედების შესახებ. იკამათეს, თუ როგორ მოეპყრან იმ გლეხ დეპუტატებს, რომელნიც პირველად მიემხრნენ, შემდეგ კი გადაუდგნენ მემარჯვენეებს. ვერავითარი საფუძვლიანი ზომა ვერ აღმოაჩინეს ამ გლეხების დასასჯელად. შემდეგ კრუშევანმა ილაპარაკა სათათბიროსთან ბრძოლის შესახებ და ისე გაცხარდა, რომ ამ დაწესებულების აფეთქებაც ურჩია კრებას. მეორე ორატორმა პურიშკევიჩმა ურჩია დამსწრეთ სათათბიროს ბოიკოტი, სხდომებზე არ დასწრება და სრულიად რუსეთის ხალხისადმი მოწოდებით მიმართვა, რათა „ნამდვილ რუსთა კავშირს“ დახმარება აღმოუჩინონ.

ახალი ამბავი

✦ **ყუმბარა.** ხულიგანები განაგრძობენ ნაძალადევის მცხოვრებთა დაწიოკებას. იგინი ყუმბარებითაც შეიარაღებულან თ ერმე. კვირას, 18 მარტს შემდეგი ამბავი ჩაიდინეს. ამ დღეს საღამოთი ავჭალისა და ბრიგადირნი ქუჩების კუთხეში ა. დვალის სარდაფში ვახშმის საჭმელად ჩასულან რამდენიმე კაცი. ერთს კუთხეში ალ. დვალთან მჯდარა მისი ბიძაშვილი გრიგოლ დვალი, მეორე კუთხეშიც—ორი მსახური ლეკვეიშვილი, კერესელიძე და ერთიც უცნობი. აქვე ერთს სტოლთან მჯდარა აგრეთვე სამი მუშტარი, რომელთა ვინაობა არ იციან. საღამოს 8½ საათზედ ვიღაც მისულა სარდაფის ჩასავალთან და იმ მაგიდასაკენ, სადაც დვალები მსხდარან, ორჯელ რევოლვერი გაუსვრია, შემდეგ ყუმბარაც მიუყოლებია. რევოლვერის ხმაზე სარდაფში მყოფნი წამომხტარან. საშინელის ხმით გამსკდარა ყუმბარა, რომელიც სტოლზე დაცემულა. ყუმბარას დაულეწია მაგიდა, დახლი, ბოთლები და სხვა ნივთები, აგრეთვე ფანჯრები. მალე გამორკვეულა, რომ არავინ მომკვდარა. დაჭრილან ლეკვეიშვილი და ერთი მუშტარი. ყუმბარის ხმას თ ვზარი დაუცია როგორც სარდაფში, ისე ახლო-მახლო მყოფ ხალხისათვის. ერთის საათის შემდეგ მისულა ბოქაული გურგენიძე პოლიციელებით და შესდგომია გამოძიებას. როცა სარდაფიდან ამოსულან, პოლიციელებს იქვე უნახავთ ორი ქართველი ყმაწვილი, რომელთათვისაც უკითხავთ პასპორტები და შემდეგ დაუპატიმრებიათ.

✦ **მალჩანოვის დაჭრა.** 17 მარტს, საღამოს 8 საათზედ სამსახურიდან სახლში ნემენცების ქუჩაზე ვაგონით დაბრუნებულა ტფ. სადგურის ტელეგრაფისტი კლიმენტი მალჩანოვი. სადგურის ქუჩაზე „სვეტის“ სასტუმროს მახლობლად ვიღაც შევარდა ვაგონში და რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა. მალჩანოვი დაიჭრა ყბაში. მსროლელი გადახტა ვაგონიდან და გაიქცა სადგურის ქუჩით, უკან გამოდევნებულ პოლიციელებს რევოლვერით უპასუხა და დასჭრა შემთხვევით გამვლელი ეკატერინე ბლიუევისა. უცნობი დაიმალა. დაჭრილები მოლჩანოვი და კლიუევისა მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **შიმშილობა ოსეთში.** მთის ოსეთი ამ ჟამად დიდ გაჭირვებას ითმენს. იქ უკვე ბევრგან შიმშილობაა. შარშან შემოდგომაზე დასავლეთ რაზმის უფროსმა ლიახოვმა დიდი ჯარიმა დადო ხალხს, რომლის გადასახდელადაც გლეხები იძულებულნი იყვნენ მარჩენალი საქონელი გაეყიდათ. უგზოობა, მთის მიუვალ ადგილები, გარეშე სამუშაოს უქონლობა—ყველა ეს მძიმე ტვირთად აწევს ისეთ ხალხ კომპოზიტორმა გუსტავ შარპანტიეს მიერ მოწყობილმა ასზედ მეტის კაცისაგან შემდგარმა ხოროომ და დამკვრელებმა „ჟან-ჟაკ რუსოს სიმღერებით“ და მუსიკით საზოგადოება დაატკბეს. მოგეხსენებად, რომ ფრანგებს არ შეუძლიანთ პოლიტიკასა და ფილოსოფიას მხიარულება არ მოაყოლონ: „ახლა თქვენ ნახავთ უფრო თვალ-წარმტაც სანახაობასა“, განაცხადა ღრმად მოხუცებულმა დიჟარდენ-ბომეცმა, რომელმაც სხვა ორატორებთან ერთად განზედ გაიწია, და მათ ადგილას გამოსრიალდნენ მართლა „თვალწარმტაცი“ ყმაწვილი ქალები და გაიმართა სახალხო კონსერვატორიის არტისტთა მონაწილეობით ცეკვა-თამაში. ალბათ, ეგეც ჟან-ჟაკ რუსოს „ბუნების შვილთა“ ცეკვა-თამაში თუ იყო!

ასე იდღესასწაულეს და იდღესასწაულებენ კიდევ დიდებულ პოეტ-ფილოსოფის ხსოვნას. ხოლო თითონ რუსო რომ ცოცხალი ყოფილიყო, მას დღესასწაულისა და ქეიფისათვის არ ეცლებოდა. იგი ეცდებოდა თავის აზრების განხორციელებას და ან ამ წმინდა მისწრაფების გზაზედ მოკვდებოდა.

ჩვენთვის ამ ჟამად მის წმინდა ფილოსოფიურ და მორალურ აზრებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მის პოლიტიკურს შეხედულებას. ჟან-ჟაკ რუსო იყო მხურვალე მომხრე და დამცველი ფედერატიულის პრინციპისა. მისი მსჯელობა სრულის ფედერაციისა და დეცენტრალიზაციის განხორციელებაზე დამყარებულია იმავე „ბუნებრივს კანონზე“, სადაც არსებობს არა ძალ-დატანებით დამორჩილებულთა ერთიანობა, არამედ სხვა და სხვა დამოუკიდებელ არსებათა თავისუფალი კავშირი. ეს აზრები

---

*) ეს „საზოგადოებრივი ხელშეკრულ ბა“ ამ ჟამად ქართულად ითარგმნება პარიზში დაარსებულ ქართველ მთარგმნელთა პატარა წრის მიერ.

ფურცელაძის ახალი წიგნი „კაცობრიობა და ხალხსნობა“, გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძისა. როგორც ავტორი შენიშვნაში გადმოგვცემს, ეს წერილი დამზადებული ყოფილა სამოცდა ათ წლებში, მაგრამ ქართულ რედაქციებს არ დაუბეჭდიათ თურმე. მხოლოდ 1895 წელს მოუთავსებიათ „ივერია“-ში დავით მიქელაძის წყალობით. წიგნის ფასი ერთი აბაზია.

✦ **გორის მაზრის უფროსი**. გორის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად, მოკლულის გუგუშვილის ნაცვლად, დაინიშნა ტფ. მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე.

✦ **ეგზამენები**. სამოსწავლო მთავრობამ ნება დართო ტფ. რეალურ სასწავლებლის მე-6 და 7 კლასის გამორიცხულ მოსწავლეებს, ეგზამენები დაიჭირონ, რომლის შემდეგაც ისევ მიიღებენ მათ.

✦ **გაფიცვა**. 16 მარტს, სააგენტოს დეპეშების სიტყვით, ბიბი-ეიბათში გაიფიცნენ ბორნის საწარმოვოს მუშები და აგრეთვე ნობელის ქარხნის ოროს დამკვრელნი. მატროსები მტკიცედ განაგრძობენ გაფიცვას. ბევრმა გემის პატრონმა მუშებს ანგარიშის გასწორება განუცხადა.

✦ **ორი ადამიანის მოკვლა და ოთხის სასიკვდილოდ დაჭრა**. ქალაქ ალექსანდროპოლში თავის გათხოვილ დასთან სცხოვრობდა თურმე ვიღაც კარაპეტიანცი, რომელიც უადგილოდ ყოფილა. ამ რამდენიმე დღის წინად დას იგი სახლიდან გაუგდია. 18 მარტს კარაპეტიანცი მისულა დის სახლში, დანით მოუკლავს სიძე და მეზობელი, სასიკვდილოდ დაუჭრია და, დისწულები ქალ-ვაჟი, მეზობლის ცოლი და დედა. ბოლოს თავიც მოუკლავს.

✦ მოგვიგიდა სვეტიცხოველ ეპარქიალური „ნაკადულის“ შესამე წიგნი (მოზრდილთათვის). შინაარსი: „გამარჯვებული“, დექსი ნ—ურისა; „ბავშვმა ამხიდა“, მოთხრ. ნინო ნაკაშიძისა; „გაზაფხული“, ეკდოშვილისა; „მზითვის ფანგარი“, თარგ. ვაჟა-ფშაველისა; „სამი ბუზის მოგზაურობა“, თარგ. ვ. ძესი; „სამშობლო ქვეყანა“, ალ. ეიფშიძე; „სათვრანგეთის ისტორიიდან“, ა. შ—სა; ჭაერის დამოწმიდება“, ი. ს—ძისა; „მითოლოგია“, მიქაბერიძესი; ფიზიკა და ქიმია, ნ. ლ—ურისა; გასართობი.

✦ 17 მარტს, სადამოს 10 საათზედ, ნაძალადევში გორის ქუჩაზე, როდესაც მედუქნე ს. ენიკიძე დუქნის დარაბებს ჭკეტავდა, ვიღაცამ დაუსალა რევოლვერი და გაიქცა. ენიკიძე გვერდში დაეჯრა.

✦ მოლიციის მე-6 ნაწილში მაჭმადიანთა ერომა ჯგუფმა გადასწყვიტა გამართოს ბურის საცხობი დარიბ მცხოვრებთათვის, რადგან ბური გაძვირდა.

✦ როგორც აღვნიშნეთ, პოლიციის მე-7-ე ნაწილში 16 მარტს მოჰკლეს ვიღაც უცნობი. მოკლულს აღმოჩნდა ტფ. მაზრის მცხოვრები კასუმ ბაბა-ოღლი.

✦ 18 მარტს გოლოვინის პროსპექტზე, ელექტრონის ვაგონს ქვეშ ვიღაცას ჩაეგდო ჰეტარდა. ჰეტარდა გასკდა. ბევრს ყუმბარა ეგონა.

✦ 17 მარტს სირაჩხანის ქუჩაზე ვაჭარ კალაშვილს შეუვარდა 6 შეიარაღებული კაცი, 200 მანეთი წაართვა და მიიმალა.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 18 მარტს რეალურ სასწავლებელში დირექტორს რევოლვერი ესროლეს. დირექტორი არ დაჭრილა. სამოსწავლო ოლქის ინსპექტორს კიდევ პეტარდა ესროლეს. ვიღაც ქუთათელაძემ სამჯერ რევოლვერი ესროლა მოსწავლე ქალს ადამიას, მაგრამ ვერ მოარტყა. ვიღაც უცნობებმა რევოლვერით დასჭრეს ბეგოვი და შემთხვევით გამვლელი ნოქარი ბეთანოვი.

ოსური გაზეთი „ნოვ ცარდ“ (ახალი ცხოვრება) №№ 1, 2 და 3.

(მოკლე შენიშვნა)

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მარტო მშრომელი ხალხის იმედებს როდი შეასხა ფრთები! ამ მოძრაობით კიდითი კიდემდე შერყეულმა რუსეთის უზარმაზარმა სახელმწიფომ თვალები მოიფშვნიტა და ახალი ცხოვრების მოწყობას შეუდგა. რუსეთის სახელმწიფოში კი მარტო ერთი და ორი ერი არა სცხოვრობს და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ თითოეული ამოკვნესა რომელიმე ერისა, თითოეული მოთხოვნა ისტორიულად ცნობილ ხალხისა, იმ ხალხისა, რომელსაც აქვს თავისი წარსული, თავისი მომავალი, თავისი მიწა-წყალი, თავისი ენა, კოლტურა და ლიტერატურა, ან სურვილი რომელიმე თემისა—შეჰქმნას თავისი საკუთარი ცხოვრება დამყარებული სამართლიანობისა და ძმობა-ერთობაზე, ჭირის ოფლში აგდებს თანამედროვე რუსეთის მთავრობას და „ჭეშმარიტ რუსთა“ პირით გრძნეულსავით აყვირებს:—დაჰკათ ურიებსა და უცხოებს (ინოროდცებს), მაგათ არიეს ჩვენი საქმეებიო“. მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობა ყველაზე უფრო ჭკვიანია, სურვილი და ალღო სიცოცხლის დაცვისა ყველაზე უფრო ძლიერია და აი, მიუხედავად იმ სასტიკის ზომებისა, რომელსაც დამმონავებელნი ხმარობენ სხვა და სხვა ერთა დასაბეჩავებლათა და გასათახსირებლად, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელი ერები დღეს ხმა მაღლა მოითხოვენ თავიანთ უფლებათ, თავიანთ არსების დაცვის პირობებს...

ფინლიანდია, ბალტიის მხარე, მცირე რუსეთი, საქართველო, ციმბირი, რუსეთში მცხოვრები თათრები, სომხები და სხვანი და სხვანი—ყველა მოელის თავისუფალ ცხოვრებას, განვითარებას, აყვავებას და ამაღლებას, თითოეულ, დღეს რუსეთის ქვეშევრდომ, ერს სურს თავისებურად მოაწყოს თავისი კერძო ცხოვრება და შეთანხმებაზე დამყარებულ ერთობით შეჰქმნას დიადი და უკეთესი სახელმწიფო.

რუსეთის კულტურულ და განათლების მოსურნე ერთა საერთო მოთხოვნილებას ამიერიდან ბანი მისცა ჩვენმა მეზობელმა პატარა ოსეთმაც.

სამწუხაროდ, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ოსებს.*) აქამდე ნაკლებად ვადევნებდით თვალ-ყურს მათ ზნეობა კონებრივ განვითარებას, მათ მისწრაფება-იდეალებს, მაგრამ დღეის შემდეგ, იმედია მეტი საშუალება გვეძლევა სამართლიანი ანგარიში გავუწიოთ, როგორც უკვე განათლების გზაზე შემდგარ ერს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი საერთო მტერი სარგებლობს ჩვენის უყურადღებობით ურთიერთისადმი და ხელმარჯვეთ სთესს ეროვნულ სიძულვილს...

სიტყვა რომ არ გამიგძელდეს აქვე მოგახსენებთ ერთ სამწუხარო ამბავს: შარშან, ამ სტრიქონების დამწერი მოწმე ვიყავი იმ საძაგელის პროვოკაციისა, რომელსაც ბოროტნი ამა ქვეყნისანი სთესლნენ ოსთა შორის. ბიუროკრატიის პოლიტიკას ერთა წაკიდების შესახებ ბევრი მოტრფიალე გამოუჩნდა და თუ თავი არ გამოედოთ პარტიულ მებრძოლთ, ვინ იცის, რა უბედურება არ დატრიალდებოდა. მაგრამ ამაზედაც კვლავ მოველაპარაკები ჩვენ მკითხველებს, ახლა კი გაგაცნობთ ოსების ახალ გაზეთს „ნოგ ცარდს“ (ახალ ცხოვრებას), რომლითაც ოსები თანაზიარ ხდებიან კულტურულ ერებისა.

ჩემ წინ აწყვია სამი პირველი ნომერი სუფთად გამოცემულ გაზეთისა. გაზეთის გამოცემა დაუწყვიათ 8 მარტიდან. მას რედაქტორობს განათლებული ოსი თედეთი პეტრე (პეტრე თედეევი), ხოლო უმთავრესს თანამშრომლებად არიან უმაღლესს სწავლა დამთავრებული და სტუდენტი ოსები. ერთის თვალის გადავლებით გაზეთი გვარიან შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა იგი ჯერ-ჯერობით პირველი ნაბიჯია ახლად ფეხ ადგმულისა. იმედია, შემდეგში წელში გამაგრდება და უფრო თამამად დაიწყებს ლაპარაკს, როგორც რუსთა საერთო პოლიტიკაზე, ისე ოსთა ურთიერთობისა და მისწრაფებათა შესახებ. ჯერ-ჯერობით გადაჭრით მარტო იმისი თქმა შეიძლება, რომ ეს ახალი გაზეთი ემსახურება ოსთა ეროვნულ ინტერესებს, სცდილობს ოსებში შეიტანოს თვითცნობიერება, გააგებინოს ქვეყნის ვითარება და შეაგნებინოს ხალხთა ერთობის ძალა და მნიშვნელობა.

„ჩვენ ოსებიო—ამბობს პირველი ნომრის მეთაური წერილი—სხვა ხალხებთან კარი კაკბამული. იმათი სიცოცხლით ვცოცხლობთ და იმათი სიკვდილით მოვკვდებით. მაშასადამე სტუმარივით გულ-ხელ დაკრებილი კი ალარ უნდა ვისხდეთ, როგორც აქამდე ვიქცეოდით, არამედ მათთან ერთად უნდა ვიშრომოთ. სხვა მთიელთა შორის ჩვენ უველა უკეთესსა და უალრესს კეთილებენ. ნუ შევარცხვენთ ჩვენ თავს სხვის თვალში. შეიეუვაროთ სინათლე. ჩვენი კაზეთი ჩვენი ცოდნის წყაროთ კალაკვიქციოთ და ჩვენი აქამდე ბნელით მოცული ხვე-ხეეი კანანათლოთ“...

აი, ასეთი მიზანი დაუსახავს გაზეთს და ჯერ-ჯერობით ფეხ-და-ფეხაც მისდევს მას. მთელი სამი ნომერი სავსეა ათასგვარ ცნობებით. აქ შეხვდებით წერილებს სათათბიროების შესახებ, აქავეა ლექსები და მოთხრობები ოსების ცხოვრებიდან. ყველა ეს მასალა რიგიანათაა დალაგებული და მარტოოდენ იმ აზრს ემსახურება, რომ ოსის საზოგადოებას შეაგნებინოს თავისი ვანაობა და ადამიანური ცხოვრება-დამოკიდებულება სხვა მეზობელ ხალხთან.

ჩვენთვის დიდად საინტერესოა მეთაური მესამე ნომრისა, იგი შეეხება ოსურ ეროვნულ საკითხს. ეს ეროვნული საკითხი ეხება ოსებს, ოსეთს, ოსურ ენას, ოსურ ეროვნულ ცხოვრებას, ოსურ ეროვნულ ინტერესებს. ეს ეროვნული საკითხი ეხება ოსურ ეროვნულ ინტერესებს, ოსურ ეროვნულ ცხოვრებას, ოსურ ენას, ოსეთს, ოს

ლი მსმენელი ყოველთვის იხილმება. ამ ნიჭიერ მსახიობ-ქალის თამაშობას სამსახიობო ბედიბადი მეტის-მეტად ყინიანი რამ არის და ხანდისხანზოგს იმისთანას გაუდიმებს ხოლმე, რომელსაც ნიჭი, გრძნობა და ხელოვნება სახლოსაც არ მიჭკარებია; ზოგს კი, ყოველად დირსეულს — ჩრდილში ჭყლავს. ასე თუ ისე, ქ-ნ პასხალოვას სახელი თითქმის ყველამ უწყის, ვისაც-კი რიდისმე თეატრში ფეხი შეუდგავს. ტფილისის საზოგადოებაც კარგად იცნობს და სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ ამისთანა დრის, რიცა ხელოვნებისათვის არავისა სცხელა, შაბათს სახსონი თეატრის დარბაზი თითქმის სავსე იყო.

იბსენის „ნორა“ საუკეთესო როლთაგანია ქ-ნ პასხალოვას რეპერტუარში. პირველ გამოსვლისთანვე იგი განუწყვეტელ ძაფს აბამს თავისს თავსა და მაყურებელ შორის, რომელიც თან და თან იგრიხება და აახლოვებს მსახიობის გრძნობათა-მეტყველებას და მსმენელის გულის ძგერას. პირველი მოქმედება ნამდვილი დღესასწაულია ხელოვნებისა! ისეთის დიდის უნარით და ჯეშმარიტის გრძნობით შეიქმს მსახიობი-ქალი სცენაზედ ცხოვრების სიცხადეს, რომ ყურადღებას ადარ აქცევს ფერადებით შეთხუპნულ დეკორაციებს, ეალდ მოწყობიდებას, სხვა მსახიობთა უფერულობას და გიკონია, რომ უნებური მოწამე ხარ ცხოველ ცხოვრებისა.

ქ-ნ პასხალოვას აქვს მრავალ—კიდოვანი ხმა მმოძრავი სახე და მეტყველი თვალები, —ეს მართლა რომ სარკმელნი სულის და გულისა. უნდა გენახათ ის გრძნობათა მორევი, რომელიც ჩატბორებულიყო მსახიობ-ქალის თვალებში, როცა იგი, ხანგრძლივ მდუმარე, ეურს უგდებდა ქმრის გულის მომწყვეტელ, უხამს დაბარკს,—რომ მიხვედრილიყავით, თუ ასე ანაზდეულად რად გადასწყვეტანო რამ თვისი და თავის ოჯახის ბედ-იბადი. ეს მეტყველება მსახიობის თვალებისა—განხორციელება იყო იმ პროტესტისა, რომელსაც აცხადებს დედათა სქესი დამმცირებელ მონობის წინააღმდეგ. ნორას ამ წამს მხოლოდ ასე შეეძლო ცქერა!..

დანარჩენი თანამშრომელნი ქ-ნ პასხალოვისა ჯერ-ჯერობით საკმაოდ მოიქცეოდენ. ქ-ნ პასხალოვას საზოგადოება ადღაცებით მიეგება; ეგვიპტელი ეხვად მიაფინეს და ბალკე კალათაც მიართვეს. ი.

რუსეთი

✦ სამხედრო-საველე სასამართლოები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდობილებით პოლიციის დეპარტამენტი ამზადებს ამ ჟამად სტატისტიკურ ცნობებს სამხედრო-საველე სასამართლოების მოქმედების შესახებ დაარსების დღიდან დღემდე. საზოგადო ცნობებიდან უკვე გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი სიკვდილით დასჯა ბალტიის მხარეში მომხდარა. მეორე ადგილი უჭირავს პოლონეთს, შემდეგ მისდევს ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარე, კავკასია და პეტერბურგის ოლქი. მთელ რუსეთში მხოლოდ ერთად-ერთი სამარის გუბერნია ყოფილა, სადაც სამხედრო-საველე სასამართლოებს არც ერთი კაცი არ დაუსჯია სიკვდილით. სულ 6 მარტამდის სიკვდილით დაუსჯიათ 773 კაცი.

✦ საეკკლესიო კრება. რუსეთის გაზეთები სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ პობედონოსცევის სიკვდილის შემდეგ უმაღლესმა სამღვდელოებამ აღძრა საკითხი დიდ-მარხვის მეხუთე კვირაში სრულიად რუსეთის სამღვდელოთა კრების მოწვევის შესახებ.

✦ შიმშილობა „კრესტ“-ის სატუსაღოში. ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ა მინისტრაციისაგან შევიწროვებულმა პეტერბურგის უდიდეს სატუსაღოს „კრესტ“-ის პოლიტიკურმა ტუსაღებმა შიმშილობა გამოაცხადეს და ჯამაზე ხელი აიღეს. გაზეთების ცნობებით ამ ჟამად ისინი განაგრძობენ შიმშილობას. ბოლო დროს სატუსაღოში პროკურორის ამხანაგი მისულა, დაუვლია სატუსაღო, ტუსაღების მოთხოვნილება მოუსმენია, და ყველა ეს უშედეგოდ რასაკვირველია.

✦ უმაღლესად დანიშნული ჯილდო. ხელმწიფე იმპერატორმა, ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, უმაღლესად ნება დართო მიეცეს ჯილდოდ 2 ათასი მანეთი და გატაცებული ფულის მეათედი იმათ, რომელნიც აღმოაჩენენ ტაშკენტისა და აულიეტინის ხაზინების გამძარცველებს. ამ ხაზინებიდან სულ 554 ათასი მანეთია გატაცებული.

✦ დუმბაძის შერყეული ტვინი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მიუღია სპეციალისტ-ექიმებისაგან, რომ მთელ რუსეთში სახელ განთქმული პოლკოვნიკ დუმბაძეს ტვინი შერყეული აქვს და იმისი მოარჩენის იმედი არ არისო.

წერილი რედაქციის მიმართ

ღია წერილი თავ. ტატო ლუკას ძეს თარხნიშვილს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბ-ნო ტატო, რომ რგვალი მიწა დამპალ ხვეულებულისა ჯერეთ გირაოდ მეჭირა თქვენგან ოც თუმანში, თითქმის ოცი წლის განმავლობაში, და შემდეგ, როცა ოცი თუმანი კიდევ ჩაგაბარეთ, სრულად მესაკუთრედ ჩამთვალეთ ამ მიწისა. ჩემი მფლობელობა იქნება ამ მიწაში თითქმის ორმოცი წელიწადი და რად მოხდა, რომ დღეს ყაზახები შემომიგზავნეთ და ხუთ თუმან ნახევარი გადამახდევინეთ ამ წლის მიწის ღალა. სად იყავით ამ ორმოცი წლის განმამავლობაში? გთხოვთ, ჩემი ორმოცი თუმანი დამიბრუნოთ და თქვენი მიწა უკან მ ირთვათ. ვადას ვდებ ორ კვირას. ვსთხოვ სხვა ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

კავთისხეველი გლეხი
ტატო შეშაბერიძე.

—

გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ „ისარის“ ახლობელ ნომერში. 1905 წლის 14 ნოემბერს სოხუმის ოლქის ზოგიერთ მასწავლებლებს დაბა ოჩემჩირეში კრება ჰქონდათ თავიანთ საჭირ-ბოროტო საქმეების გამოსარკვევად. ერთმა პირმა მასწავლებელთ გადასცა გადამწვარ-გადაბუგულ გურულთა აუტანელი და უმწეო მდგომარეობა და სთხოვა შეძლებისა და გვარად შემწეობა აღმოჩინათ და ამით მაგალითი მიეცათ სხვებისათვის—მათზე უფრო მდიდრებისათვის. ამ წინადადების სისრულეში მოყვანა იკისრა მასწავლებელმა ვასო კავეარაძემ. ცოტა იყო, თუ ბევრი, ფული შეგროვდა. მაგრამ აი თექვსმეტმა თვემ გაიარა და ჩვენ, შემწირველებმა ჯერაც არ ვიცით, შეგროვილი ფული მოხმარდა დანიშნულ საგანს, თუ არა. ვთხოვთ კავეარაძეს საქმის მდგომარეობა, ე. ი. ვისგან რამდენი შეაგროვა და სად არის ფული, გაზეთ „ისარის“ საშუალებით შეგვატყობინოს.

ერთი შემწირველთაგანი.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

ხოსნოვიცი. სადამოს 7 საათსა და 30 წუთზე თავის სახლის ალაყეფის კარებთან სამის ტყვიით დასჭრეს მუცელსა, ფეხსა და ხელში პეტრაკოვსკის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გორსკი. მსროლელნი მიიმალნენ.

ვარშავა. ვარშავის მებურეები წინად გაფიცულ მუშების მოთხოვნილების თანახმანი გახდნენ. ახლა მათ ლოძის მეფაბრიკეებისავით კავშირი შეჰკრეს და მუშებს თავიანთი პირობები წარუდგინეს. ეს პირობები 20 მარტისთვის ძალაში შევა. თუ მუშებმა პირობები არ მიიღეს, მებურეები სანგრძლივ ლოკაუტით ემუქრებიან.

ბუქარესტი. უკანასკნელის ცნობებით, მოლდავიაში ეხლა სრული მშვიდობიანობაა. ვალახიის სხვა და სხვა ადგილებში ჯარსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. ვილგაში მოჰკლეს 4 გლეხი და რამდენიმე დასჭრეს. ციღიენაში ჯარი დაეწია 200 კაცსა, რომელნიც სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. სამი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს. ბილეშში დაზარალდა 150 კაცი, მოკლულ-დაპატიმრებული ბევრია. ვალცელელაში ორი მოკლულია და სამი დაჭრილი. კუკუეშტაში ჯარი იძულებული გახდა არტილერიისათვის მიემართნა. ბრაილაში ბევრ სახლს მოუკიდეს ცეცხლი.

ვაშინგტონი. რადგან ფილიპინის კუნძულებზე ადდგენილ იქმნა მშვიდობიანობა, რუზველტმა 17 სექტემბრისთვის დანიშნა პირველი საკანონმდებლო კრების არჩევნები.

ლოზანნა. შოკოლადის ფაბრიკის მუშების გაფიცვა გათავდა. მორიგება კანტონის საბჭოს შუამავლობით მოხდა. მუშების მთავარი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა. ზოგიერთ ადგილებში გამოცხადებული საერთო გაფიცვა ნელდება.

ეენევა. გაფიცულებმა 16 მარტს წითელი ბაირაღებით სიარული დაიწყეს. პოლიციამ ბაირაღების წართმევა დაიწყო. ხალხსა და ჟანდარმებს შორის შეტაკება მოხდა. მსუბუქად დაიჭრა სამი ჟანდარმი. რამდენიმე კაცი დაპატიმრეს.

ივანოვო-ვოზნესენსკი. ლეკნევის ფოსტის კანტორიდან გაიტაცეს 6,600 მანეთი.

პეტერბურგი. ვერხნედნეპროვის მაზრის სოფელ ნიკოლაევკაში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი და დასჭრეს მისი ცოლი. დერბენტის მაზრის სოფ. კიმეინში დაიჭირეს სამი ავაზაკი, მათ შორის ბრბოს ცნობილი მეთაური მაჰმედ-ალი.

სტამბოლი. პერის უმთავრეს ქუჩაზე, საავადმყოფოში ყუმბარა გადააგდეს. ერთი მოკლულია, რამდენიმე დაჭრილი. ბევრი კაცი დააპატიმრეს. დამნაშავე ვერ ადმოაჩინეს.

ბელსინგფორსი. არჩევნების დაახლოვებითი შედეგი ამნაირია: 81 სოც.-დემოკრატი, 58 მკვლი ფინომანი, 26 ახალი ფინომანი, 24—შვედომანი, 9—აგრარული სოციალისტი, 2—მორწმუნეთა პარტიის მუშა.

ეაზანი. საბეითალო ინსტიტუტის პროფესორებმა დაადგინეს: გამოუცხადონ სტუდენტებს, თუ 24 მარტამდის სტუდენტების საერთო კრება და პროფესორთა კომისია, პროფესორებთან ინციდენტისა გამო კონფლიკტს არ დააშოშმინებენ და ლექციების კითხვას არ განაახლებენ, იმ შემთხვევაში ინსტიტუტი შემოდგომამდი დაიხურება და არც მიმდინარე სემესტრი ჩაითვლება.

პეტერბურგი. რადგან ბელოსტოკში ტერორისტული აქტები განახლდა, ქუჩაში პატრულები დადიან.

სტამბოლი. პერში გადაგდებულ ყუმბარისაგან 11 კაცი აღმოჩნდა დაჭრილი, იმათგან 4 მძიმედ. დაშავებულთა შორის ევროპიელი არც ერთი არ არის. სამი სომეხი დააპატიმრეს.

ოდესა. ნაშუადღევის 1 საათზე ბელლინი ვერდინანდის ელლინგს 18 შეიარაღებული კაცი დაეცა. კაპიტანის ორი თანაშემწე და სხვანი, ვინც იქ იყვნენ, დაპატიმრეს, 200 მანეთი წაიღეს და გაიქცნენ. ერთ-ერთ მათგანს ხელში ყუმბარა ეჭირა. ამ დღეს მოსამსახურეებისთვის ჯამაგირი უნდა დაერიგებინათ. მძარცველებს ბევრი ფული ეგულებოდათ კასაში.

ბუქარესტი. ჯიურჯევოში თანდათან მშვიდობიანობა მყარდება. გაიწვიეს 1898 და 1899 წლის სათადარიგო ჯარი.

ლამბოვი. ილვიდან ვოზნეს ნსკის ქარხანაში მიმავალი ფოსტალიონი დასჭრეს და 3500 მანეთი წაართვეს.

ლოძი. დიდ შაბათს (ახალი სტილით), როცა მდვდელი—მარიავიტი სკოლიმოვსკი კერძო სახლში პასქას აკურთხებდა, 20 შეიარაღებული კაცი შეგარდა და მდვდელს და სხვა იქ მყოფთ სროლა აუტეხა. მდვდელი უვნებელი გადარჩა. მოკლულია ერთი 20 წლის მარიავიტი ქალი და დაჭრილი 8 მარიავიტივე ქალი, მათ შორის 4 მძიმედ.

ბერლინი. სამუშაოს მიმცემ ცენტრალურ კავშირის გადაწყვეტილებით გამოცხადებულია ლოკაუტი. მკერვალების ყველა ქარგლებს, ვინც მუშათა კავშირის წევრია, ადგილიდან ითხოვენ.

ოდესა. სადამოს 10 საათზე ოთხი მუშა ლიუბლიანის პოლკის საავადმყოფოს ახლო მიდიოდა. ისინი ყარაულად მდგომ ჯარის კაცს ეძენენ და თოფის წართმევა მოუნდომეს. ჯარის კაცმა ხიშტით ერთ-ორ ადგილას დასჭრა. სხვას სამჯერ ესროლა და ერთი მათგანიც დასჭრა. ორი დანარჩენი ჯარის კაცებმა და პოლიციამ დაიჭირეს. ერთი დაჭრილთაგანი ჩქარა გარდაიცვალა. მეორე საშიშ მდგომარეობაშია.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი.

განცხადებანი

საყურადღებოა

მამაკაცთათვის

შალის საქონელის ფაბრიკა ზიგმ. როზენტალისა ლოძში, № 126 გზავნის ფასდადებით «ტრიკო» № 1 (ძალიან მაგარი და სახეიროა მოხდენილ და დარბაისლურ ტანისამოსისათვის შავის ან შავრუხის ფერისა) აგრეთვე თითო ნაჭრად მთელის კოსტიუმისათვის 4¼ არშინისა, 5 მანეთად და 5 მანეთად და 25 კაპ. თითო ნაჭერი. ვინც ერთად სამ ნაჭერს გამოიწერს, სარჩულს მუქთად მიიღებს. (დაბარები წერილი რუსულად ან გერმანულად უნდა დაიწეროს).

Метцль и К° 4582. (3—№ 1—1)

საზოგადოების

საყურადღებოდ

ვისაც უნდა დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** საღდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეუბაროს მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ფ. ნასიძეს.**

მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

ხელფასი ზომიერია. (3—უ.—3)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძკირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაც სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმესპირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბულდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

კამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**
(20—569—12)

ქუთაისში
კიუმარიშვილის და ამხ.

თესლეულობის კანტორამ

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, ჰურის, ეკლის ხის, ბოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—3)

პირველი—კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონეჟი, ... ბირჟა)

ყოველ დღე, კვირეულს გარდა.

დ ო ქ ტ ო რ ი:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ვ. ვ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

ს. ვ. ავეტისიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. ს. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ვ. ი. ბეგლიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ბ. კარაპეტიანი: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ვ. ი. გურგენოვი; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—45)

პირველად მარტიდან უკვე მიიღება ხელის მოწერა

ოსურ ზაზეთზე

„ნაუაგ ცარდ“

(ახალი ცხოვრება)

რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა.

გაზეთის ფასი:

წლით . . . 4 მან. | სამი თვით . . 1 მ.
ნახევარი წლ. 2 მ. | ერთი თვით . 50 კ.

წლიური ხელის მოწერნი წლის დამდეგს უფასოდ მიიღებენ ოსს მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს.

ადრესი: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. თედეევი.

კბილის საექიმოს სკოლა ლ. ეტრეისერისა

გადვიდა ერევნის მოედანზე (ბუშკინის ქუჩა, № 3), სკერედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—90)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრთა. აქვე უნდა ჩაეწეროს უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

მ. ე. ფრიდონოვი

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 11.

აწვდის მსურველთ გენსხისა და ბადების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგეედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“.** (50—751—26)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

1907 წლიდან რედაქტორ ... „ნაკადულის“ შენაძლის გაფართოებას

**ეროვნული ... ...